# გადაწყვეტილება

N გ-20-17/478
04/06/2020

478-გ-20-1-4-202006041650

**საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2020 წლის №26 სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ (შემდგომში "კომისია") განიხილა კომისიის 2020 წლის 04 ივნისის N26 სხდომაზე წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტი და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის, „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების" $12^1$ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

**გადაწყვიტა:**

1. კომისიის 2020 წლის 04 ივნისის N26 სხდომის დღის წესრიგში დამატებით შეტანილ იქნეს 2 (ორი) საკითხი:

ა) შპს „საქაერონავიგაციისთვის" დამხმარე ტექნოლოგიური დანიშნულებით გამოყენებისთვის რადიოსარელეო სიხშირეებით სარგებლობის უფლების მინიჭების შესახებ (მომხს. მ.ქადეიშვილი - სამართლებრივი დეპარტამენტის ლიცენზირებისა და ავტორიზაციის ჯგუფის უფროსი);

ბ) შპს „ანეტისთვის" დოკუმენტაციის სრულყოფილად წარმოდგენის მიზნით დამატებითი ვადის განსაზღვრის თაობაზე (მომხს. მ.ქადეიშვილი - სამართლებრივი დეპარტამენტის ლიცენზირებისა და ავტორიზაციის ჯგუფის უფროსი);

2. კომისიის 2020 წლის 04 ივნისის N26 სხდომის დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით (თან ერთვის);

3. გადაწყვეტილება ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება;

4. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის ადმინისტრაციას (ო.ვოტ).

ქეთევან წამებულის გამზ.
ბოჭორმის ქ. 50/18, თბილისი, 0144
+995 32 292 16 67
+995 32 292 16 25

კახი ბექაური

თავმჯდომარე

ელისო ასანიძე

წევრი

ვახტანგ აბაშიძე

წევრი

მერაბ ქათამაძე

წევრი